ჭეშმარიტად, სამართლიანები ისხდებიან სინათლის მინბარებზე ალლაჰის წინაშე, ყოვლადმოწყალე ალლაჰის მარჯვენა მხარეს, რომლის ორივე ხელიც არის მარჯვენა

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი) თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ჭეშმარიტად, სამართლიანები ისხდებიან სინათლის მინბარებზე ალლაჰის წინაშე, ყოვლადმოწყალე ალლაჰის მარჯვენა მხარეს, რომლის ორივე ხელიც არის მარჯვენა, და ისინი იქნებიან, ვინც სამართლიანობას იჩენდნენ თავიანთ სასამართლოებში, ოჯახებში და ყველასთან, ვინც მათ მფლობელობაში იყო».

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ისინი, ვინც სამართლიან და ჭეშმარიტ გადაწყვეტილებებს იღებენ მათზე დაქვემდებარებულ ადამიანებს შორის, ისევე როგორც თავიანთ ახლობლებს შორის, აღდგომის დღეს დასხდებიან მაღალ და ამაღლებულ ადგილებზე, რომლებიც სინათლისგან არის შექმნილი, ჯილდოს საზღაურად განკითხვის დღეს. და ეს მინბარები მდებარეობს ყოვლადმოწყალისა და უზენაესის მარჯვნივ, ხოლო მისი ორივე ხელი მარჯვენაა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4935

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee